# სპორტის მასობრივი სახეების კათედრა

(მძლეოსნობა, ტანვარჯიში, სპორტის საწყალოსნო სახეობები)

*კათედრის გამგე, ასისტენტ პროფესორი – ნიკოლოზ ლეშკაშელი*

**მძლეოსნობის კათედრა.** საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დაარსებისთანავე, 1938 წლის მარტის თვეში, შეიქმნა მძლეოსნობის კათედრა, რომლის პირველი გამგე იყო ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე – ვლადიმერ სამსონაძე (1938-1941).

შემდეგ წლებში, კათედრას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები და მოღვაწეები:

ალექსანდრე ზამბახიძე (1941-1942); ლევან გიორგაძე (1942-1948); ვლადიმერ სამსონაძე (1948-1954); თეიმურაზ მაჩაბელი (1955-1956); დიმიტრი იოსელიანი (1956-1983); ვალერი ვაშაკიძე (1983-1985); ბონდო გველესიანი (1985-1989); ვალენტინ ნედაშკოვსკი (1989-1994); მამია ტუღუში (1994-2007).

## მძლეოსნობის კათედრის გამგეები

მძლეოსნობის კათედრაზე, სხვადასხვა პერიოდში, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ:

ა. კივიკიასი, ა. ქარცივაძე, ბ. პოლტორაცკი, ე. ტერეზნიკოვი, მ. პეროვი, დ. მიქაბერიძე, ტ. დროზდოვა, ა. ალიხანოვა, ს. სადოვოი, ა. ტარასევიჩი, გ. ლეჟავა, ა. მჭედლიშვილი, ზ. ფხალაძე, ვ. სუხოტინი, ი. შუქროვი, ვ. კარპენკო, ე. გაგუა, ვ. ლაბუნსკი, ია გველესიანი (ლაბორანტი), ნანა ღლონტი (ლაბორანტი),

რევაზ კერესელიძე

ვლადიმერ პორტნოვი

ნოე ლობჟანიძე

შალვა კილაძე

ვალერი ფოფხაძე

ოლეგ ლაკერბაი

აკაკი ხუციშვილი

ნინა კალანდარიშვილი

ჯულია ოდილავაძე

გივი ნადირაშვილი

გივი ხოჭოლავა

მამია ტუღუში

ზურაბ ტალიკიშვილი

გია ქემოკლიძე

მერაბ მაისურაძე

იამზე ტოგონიძე

მზია მაქაცარია

ალექსანდრე გობირახაშვილი

პედაგოგიური მუშაობის პარალელურად, კათედრა ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. კათედრის თანამშრომლების მიერ გამოცემულია მრავალი სახელმძღვანელო, სამეცნიერო ნაშრომი, მეთოდური მასალა და ბროშურა. კათედრაზე ინერგებოდა გამოგონებებიც: კერძოდ, კუნთების იზომეტრულ რეჟიმში ყოფნისას, ხტომადობის განვითარებისათვის სამუშაო აპარატურა-კომბაინი და მიმდინარეობდა მუშაობა, მსაჯობაში ფოტოფინიშის უკეთესი აპარატურის შექმნისათვის.

კათედრაზე მოქმედებდა სასწავლო-მეთოდური კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იყო კინო და ვიდეო აპარატურით, სპორტული იარაღებით, თვალსაჩინო სასწავლო მასალებით და სხვა დამხმარე ხელსაწყოებით. მეთოდურ კაბინეტში, სტუდენტები და მწვრთნელ-მასწავლებლები, კათედრის უფროსი მასწავლებლების დახმარებით და სხვადასხვა ვებ-გვერდის გამოყენებით, სისტემატურად ეცნობოდნენ მძლეოსნობის მიმართულებით მსოფლიოში არსებულ სიახლეებს და იმაღლებდნენ კვალიფიკაციას.

მძლეოსნობის კათედრის სტუდენტები, გაერთიანებული იყვნენ სპორტის უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო წრეში, აქტიურად იყვნენ ჩაბმული სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და გარკვეულ წარმატებასაც აღწევდნენ სპორტის უმაღლესი სასწავლებლის, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მონაწილეთა შორის აღსანიშნავი იყო ვ. ვაშაკიძის და ვ. ნედაშკოვსკის (1953 წ.), ა. მჭედლიშვილის (1968 წ.), გ. კობიაშვილის (1969 წ.), თ. დათაძის და ს. დენისოვის (1982 წ.), ე. ნოზაძის, ვ. აფხაიძის და ა. გაბრიელიანის (1985 წ.), ი. სუშკოვას და ა. ალექსეევის (1992 წ.) ნაშრომები.

კათედრაზე ფუნქციონირებდა სპეციალური ჯგუფი, დოცენტ ვ. ნედაშკოვსკის ხელმძღვანელობით, რომელიც გარკვეულ დახმარებას უწევდა ქვეყნის წამყვან მწვრთნელებს სპორტსმენთა მომზადებაში და სისტემატურად აწვდიდა მათ სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის ირგვლივ განახლებულ ინფორმაციას.

წლების მანძილზე, კათედრის მასწავლებლები და კურსდამთავრებულები, როგორც ფიზიკური მომზადების მწვრთნელები, მიმაგრებულნი იყვნენ სპორტის სხვადასხვა სახის ნაკრებ გუნდებთან. ესენი არიან: ა. ხუციშვილი, ე. სამსონაძე, ა. ანდრეევი, ა. მჭედლიშვილი, მ.

მაისურაძე, ა. ბერიძე (ფეხბურთი), ვ. ლაბუნსკი, მ. ა. ტუღუში (ჩოგბურთი), მ. გ. ტუღუში, მ. მაისურაძე (ხელბურთი), ვ. პორტნოვი, ვ. ნედაშკოვსკი, ა. ბერიძე (კალათბურთი), გ. დავითაშვილი (ველოსპორტი), ე. ნოზაძე (ნიჩბოსნობა), ვ. ნედაშკოვსკი (ცურვა), ი. ტოგონიძე (რაგბი) და ა.შ.

კათედრის მასწავლებლები და კურსდამთავრებულები, პერიოდულად დიდ დახმარებას უწევდნენ სხვადასხვა ქვეყანას, მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების მხრივ: ვ. ვაშაკიძე – კუბასა (1964-1966 წწ.) და ბულგარეთში (1972 წ.), ვ. ვდოვინი – ალჟირში (1974-1981 წწ.), ე. გაგუა – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (1975-1977 წწ.), რ. კერესელიძე – ეთიოპიაში (1980 წ.), ვ. ობიტკო – მალაიზიაში (1996 წლიდან დღემდე), ვ. ვასილიევი – ფილიპინებში, ვ. სანეევი – ავსტრალიაში (1990 წლიდან დღემდე) და ა.შ.

კათედრის პედაგოგთა დიდი ნაწილი, წლების მანძილზე წარმატებით მუშაობდა საქართველოს მძლეოსანთა ნაკრებ გუნდთან. მათ შორის: შ. კილაძე, ო. ლაკერბაი, ვ. ნედაშკოვსკი, ვ. ვაშაკიძე, ბ. გველესიანი, ნ. ლობჟანიძე, ა. ქარცივაძე, ა. ხუციშვილი, დ. მიქაბერიძე, ე. გაგუა, ლ. გიორგაძე, გ. ნადირაშვილი, მ. ტუღუში, ზ. ტალიკიშვილი, მ. მაისურაძე, გ. ქემოკლიძე და ი. ტოგონიძე.

ინსტიტუტის პედაგოგებსა და კურსდამთავრებულ მწვრთნელ-პედაგოგთა შორის, საქართველოს **დამსახურებული მწვრთნელის წოდება** მინიჭებული აქვთ: ლ. გიორგაძეს, შ. კილაძეს, ო. ლაკერბაის, ნ. ლობჟანიძეს, ა. მჭედლიშვილს, ა. ხუციშვილს, მ. გ. ტუღუშს, მ. ა. ტუღუშს, ლ. ტუღუშს, ა. სადავოის, დ. ბეთლემიძეს, ე. გაგუას, დ. მიქაბერიძეს, ვ. მჭედლიშვილს, ე. სუხოტინს, ი. გიგაურს, ვ. შმაკოვს, ტ. ბახტაძეს, ვ. ვაშაკიძეს, ა. ბერიძეს, კ. ტყეშელაშვილს, თ. ხერხეულიძეს, გ. სტეპანოვს, ს. შოგოლევს, ზ. ჯარაშნელს, ა. ანდრეევს, ე. ლომთაძეს, ვ. ვდოვინს, ე. გოკიელს, თ. ბურიაკოვს, ვ. ქადეიშვილს, ა. ჯიშკარიანს, გ. ბუკიას, ვ. ზანიერს, გ. ერქომაიშვილსა და ყ. საბანაშვილს.

კათედრის თანამშრომელთა შორის, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და **სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება** აქვთ მინიჭებული: დ. იოსელიანს, ვ. სამსონაძეს, რ. კერესელიძეს, თ. მაჩაბელს, ნ. დუმბაძეს, ნ. ლობჟანიძეს, მ. ა. ტუღუშს, მ. მაისურაძეს, შ. კილაძეს, ო. ლაკერბაისა და ა. გობირახაშვილს. სახალხო განათლების წარჩინებული მასწავლებლის წოდება – მ. ა. ტუღუშსა და მ. გ. ტუღუშს. საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭათ: შ. კილაძეს და ო. ლაკერბაის.

კათედრის დაარსების დღიდან, საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო შეჯიბრებებს ემსახურებოდა საქართველოს მსაჯთა კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტის აკადემიის ყოფილი თანამშრომელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი – ჰამლეტ ათაბეგოვი. მისი საქმიანობა განაგრძო ოლიმპიურმა არბიტრმა, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მონაწილე მსაჯმა, საქართველოს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარემ – მ. ა. ტუღუშმა. ამ კოლეგიის წევრთა უმრავლესობა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები იყვნენ: ვ. ვაშაკიძე, ვ. ნედაშკოვსკი, ა. ხუციშვილი და მ. ა. ტუღუში. დასახელებულ მსაჯებს შორის, საპატიო მსაჯის წოდება მიენიჭა ჰ. ათაბეგოვს და ვ. ვაშაკიძეს. 2011 წელს, საერთაშორისო კატეგორიის მესტარტის წოდება მიენიჭა ასისტენტ პროფესორ მ. მაისურაძეს.

1938 წლიდან მოყოლებული, კათედრის კურსდამთავრებულებიდან და აღზრდილებიდან, საქართველოს რეკორდი დაამყარა 138-მა სპორტსმენმა; საქართველოს ჩემპიონის სახელს კი – 500-ზე მეტი ატარებს, რომელთა შორის 12 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 92 სპორტის ოსტატია.

მძლეოსნობის კათედრის თანამშრომლებიდან და კურსდამთავრებულებიდან, საკანდიდატო დისერტაცია აქვთ დაცული დ. იოსელიანს, ვ. ვაშაკიძეს, ვ. პორტნოვს, ბ. ტერეშენკოს, ე. ამბაროვს, მ. კუზმინს, ვ. კაზალაუსკას, ვ. კარპენკოს, ვ. იანშინს, ა. გაბრიელიანს, ვ. ობდიკოს, ა. ჟუკოვს, ი. სისოევს, მ. გ. ტუღუშს, ვ. კარპენკოს და ა. გობირახაშვილს.

## ტანვარჯიშის კათედრა

ტანვარჯიშის კათედრა შეიქმნა 1937 წელს.

კათედრის გამგეები იყვნენ: –

1937-1943 წლებში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი – გიორგი ეგნატაშვილი.

1943-1955 წლებში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, დოცენტი – დავით ჩიკვაიძე.

1956-1966 წლებში, საქართველოს ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, დოცენტი – ნიკოლოზ მეიფარიანი.

1966-1973 წლებში, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დოცენტი – ალექსანდრე ჯორჯაძე.

1973-1985 წლებში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დოცენტი – თორნიკე სანებლიძე.

1985-1996 წლებში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დოცენტი – სამსონ თედეევი.

1996-2002 წლებში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დოცენტი – ოთარ კაკიაშვილი.

2005-2007 წლებში, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ასისტენტ პროფესორი – მერაბ ლეშკაშელი.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, 2017 წელს შეიქმნა **სპორტის მასობრივი სახეების კათედრა**, რომელშიც გაერთიანდა მძლეოსნობა, ტანვარჯიში და სპორტის საწყალოსნო სახეობები. 2018 წლიდან, კათედრის გამგეა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ასისტენტ პროფესორი – ნიკოლოზ ლეშკაშელი.

## ტანვარჯიშის კათედრის გამგეები

ტანვარჯიშის კათედრა, მთელი მისი არსებობის მანძილზე, კომპლექტდებოდა პედაგოგ-მასწავლებლების უაღრესად გამოცდილი კადრებით, რამაც ტანვარჯიშის მწვრთნელთა მთელი პლეადა აღზარდა. კათედრაზე, გამგეებთან ერთად, წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ პროფესორ-მასწავლებლები:

ვალერიან ალადაშვილი, ედუარდ ოსიპოვი,

გიორგი ბაბილოძე

ნიკოლოზ თაყაიშვილი

კონსტანტინე ზაალიშვილი

სიმონ ბალიაშვილი

გივი ყირმელაშვილი

ნინა სალუქვაძე

სერგო კორძაია

ავთანდილ ცომაია

გივი კილაძე

ამირან ბაბუნაშვილი

მურთაზ ცხვედაძე

ნოდარ ზერეკიძე

ჯემალ სანიკიძე

ნელი სალაძე

მანანა მნათობიშვილი

ვახტანგ ლუაშვილი

ნელი პაპუკაშვილი

ნინო ბერიანიძე

ასევე, ლაბორანტები: ანზორ გოგოლაძე, თენგიზ ბერიძე, ტარიელ ყირიმლიშვილი, ელენე ლიტვინოვა, ნატო თენაძე, ნანა გამყრელიძე, დავით მაისურაძე, მარინა ფალავანდიშვილი, ნინა სარქისოვა და ნატო შველიძე.

ტანვარჯიშის კათედრის მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობა მიმდინარეობდა სამკურნალო ფიზკულტურისა და ჰიგიენის, სპორტული მედიცინის, და, ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის ფონზე.

კათედრა დიდ მუშაობას ეწეოდა მასობრივი ტიპის სპორტულ-ტანვარჯიშული გამოსვლების მოწყობასა და განხორციელებაში, რომელთა უმრავლესობა სპორტის ოსტატის, თორნიკე სანებლიძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გივი ყირმელაშვილის სცენარებით და მათი ხელმძღვანელობით იყო შესრულებული.

სსრკ სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე, დიდხანს იყო მივლინებული ინდოეთში და მისმა პედაგოგიურმა ოსტატობამ, მაღალი შეფასება მიიღო იმ ქვეყნის მთავრობისაგან. ასევე, საზღვარგარეთ იყო მივლინებული სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ნ. თაყაიშვილი.

კათედრა დიდ ყურადღებას უთმობდა საბავშვო სპორტის განვითარების საკითხებს და ტანვარჯიშში, ბავშვებისა და მოზარდების სპორტული წვრთნის თავისებურებებს. მათ შორის, ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებას (მასწავლებელი ავთანდილ ცომაია) და ა.შ.

დღეს, სპორტის უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ, პრაქტიკული მეცადინეობების პარალელურად, სტუდენტებს უტარდებათ თეორიული მეცადინეობები, თანამედროვე სასწავლო ვიდეოჩანაწერების გამოყენებით და უახლესი ინფორმაციის მიწოდებით. მშობლიურ ენაზეა გამოცემული 4 მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელო.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის უმაღლეს სასწავლებელში, ცალკე იყო ჩამოყალიბებული **სპორტის საწყალოსნო სახეობების კათედრა.** მისი პირველი გამგე იყო შალვა მუსასტიკოვი (1938-1970 წწ.), შემდეგ, კონსტანტინე რევია (1970-1987 წწ.), ბოლოს კი, სპორტის აკადემიის გაუქმებამდე – მარინა ეროგინა (1987-2007 წწ.).

### სპორტის საწყალოსნო სახეობების კათედრის გამგეები

სპორტის საწყალოსნო სახეობების კათედრაზე, გამგეებთან ერთად, ნაყოფიერად მუშაობდნენ პროფესორ-მასწავლებლები: ვაჟა ჩერტკოევი, გივი ხუროშვილი, ნოდარ ბანცაძე, გიორგი ქორჩილავა (ლაბორანტი), როლანდ ხვადაგიანი,

სერგეი ილინი

ერნესტ მაროტი

მურად ჩხეიძე

თემურ დოლიძე

ტაისია მუნტიანი

როსტომ ჩაჩავა

ივანე ბერიძე

ზაირა ნათაძე

დავით ყარანგოზაშვილი

კიმა ხერხეულიძე (ლაბორანტი)

## სპორტის მასობრივი სახეების კათედრის წევრები

**ნიკოლოზ ლეშკაშელი**
სპორტის დამსახურებული მუშაკი, ასისტენტ პროფესორი ტანვარჯიშის მიმართულებით, კათედრის გამგე

**მანანა მნათობიშვილი**
სპორტის დამსახურებული მუშაკი, პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი ტანვარჯიშის მიმართულებით

**ნელი პაპუკაშვილი**
სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი – PhD, ასოცირებული პროფესორი ტანვარჯიშის მიმართულებით

**ნინო ბერიანიძე**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ასისტენტ პროფესორი ტანვარჯიშის მიმართულებით

**ვახტანგ ლუაშვილი**
სპორტის დამსახურებული მუშაკი, ასისტენტ პროფესორი ტანვარჯიშის მიმართულებით

**ალექსანდრე გობირახაშვილი**
სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მძლეოსნობის მიმართულებით

**მერაბ მაისურაძე**
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ასისტენტ პროფესორი მძლეოსნობის მიმართულებით

**გია გოგოძე**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სპორტის რაინდი, ასისტენტ პროფესორი საერთო ფიზიკური მომზადების მიმართულებით, სპეციალისტი

**დავით ყარანგოზაშვილი**
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი წყალბურთის მიმართულებით

**ედუარდ ფეროიანი**
ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ცურვის მიმართულებით

**თეიმურაზ ლორთქიფანიძე**
სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ასოცირებული პროფესორი წყალბურთის მიმართულებით

**ზურაბ ტალიკიშვილი**
უფროსი პეციალისტი

**მზია მაქაცარია**
სპეციალისტი